MES 3 21 0000620043

23/06/2021

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 103-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით **2021 წლის 10 ივნისს.**

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციისსაბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სხდომას ესწრებოდნენ:

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს(შემდგომში-საბჭო) წევრები:

ზურაბ ორჯონიკიძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი (კანცლეერი), ქირურგიული სტომატოლოგიის მიმართულების პირის ღრუს ქირურგიისა და იმპლანტოლოგიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი (საბჭოს თავმჯდომარე);

თამარ ზარანდია - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დეკანი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი (საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე)

დავით ტეფნაძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, შპს საქართველოს საავიაციო უნივერსიტეტის დოქტორანტი (საბჭოს მდივანი).

თამარ ვეხფვაძე - სსიპ - შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებში კონსულტანტი, ფილოლოგიის დოქტორი;

ივანე აბაშიძე - სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორის მოადგილე;

გოდერძი ბუჩაშვილი - შპს "საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ-ის" ადმინისტრაციული მიმართულებით ვიცე-რექტორი, სოციალურ, ჰუმანიტარულ და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის აფილირებული ასოცირებული პროფესორი განათლების მიმართულებით;

ეკა ეკალაძე - სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის დიპლომირებული მედიკოსის ამერიკული პროგრამის დირექტორი, ბიოქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;

იური მღებრიშვილი - საქართველოს ხელოვნების სამეცნიერო-კველვითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი;

აკაკი ხელაძე - სსიპ - ქუთაისის საერთაშრისო უნივერსიტეტის პროფესორი მენეჯმენტ-ბიზნესის მიმართულებით;

ერმილე მესხია - სსიპ - ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის განათლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, კულტურის მენეჯმენტისა და კულტურული ტურიზმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამებისა და ხელოვნების მენეჯმენტის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი;

დავით ბოსტოღანაშვილი - შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, შპს „აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის“ იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი;

ბორის ლეჟავა - შპს „კავკასიის უნივერსიტეტის“ ვიცე-პრეზიდენტი კვლევისა და სტრატეგიული განვითარების დარგში,

მორის შალიკაშვილი - სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის „კრიმინალისტიკისა და კრიმინოლოგიის“ სასწავლო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

ზურაბ გვიშიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის მოვალეობის შემსრულებელი, სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი;

მარინა ქორიძე - სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის დეკანი, სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჯანდაცვის ფაკულტეტის პროფესორი.

ავტორიზაციის საბჭოს მოწვეული წევრები

თამარა ვალიშვილი
ივანე აბაითარი
ლელა მასხულია
მაია გოგაშვილი

ნინო მეგრელიშვილი
ირბა ბურდლაძე
ეკატერინა ადამია
ნინო ნანავა

სსიპ- განათლებისხარისხისგანვითარებისეროვნულიცენტრის(შემდგომში-ცენტრი) წარმომადგენლები:

ლალი გიორგიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე
ლალი ოდიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კოორდინატორი
თორნიკე ბაქაქური - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი
ნინო ალავიძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მთავარი სპეციალისტი
დავით ბურჯანაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სანდრო ტაბატაძე - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
სოფო ქურასბედიანი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
ქრისტინე აბულაძე- უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებისწარმომადგენლები:

1. შპს კავკასიის უნივერსიტეტი

1. კახა შენგელია - უნივერსიტეტის პრეზიდენტი;
2. ნუგზარ სხირტლაძე - ვიცე-პრეზიდენტი სასწავლო დარგში;
3. ხატია გოგლიძე - ვიცე-პრეზიდენტი ადმინისტრაციულ და მონიტორინგის დარგში;
4. დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
5. მარიკა ნიკოლაიშვილი - ფინანსური დირექტორი;
6. თამარ შენგელია - პერსონალის მართვის დეპარტამენტის დირექტორი;
7. ირენა მელუა - საერთაშორისო ურთიერთობების და პროექტების დეპარტამენტის დირექტორი;
8. ნინო მაჩურიშვილი - კვლევის ხელშეწყობის დეპარტამენტის დირექტორი

2. შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ

1. გია კავთელიშვილი - რექტორი
2. გიორგი ღავთაძე - ვიცე-რექტორი აკადემიური მიმართულებით
3. ანა ფირცხალაშვილი - ვიცე-რექტორი სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებით
4. ნონა ზუმბაძე - ხარისხის განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
5. მაკა ადვაძე - მედიცინის ფაკულტეტის დეკანი

უმაღლესისაგანმანათლებლოდაწესებულებებისავტორიზაციისექსპერტები(შემდგომში-ექსპერტები):

შპს კავკასიის უნივერსიტეტი

აჰიმ ალბრეხტი
ჯოზეტე პიეტერს დენეკენსი
ნინო პატარაია
ია მოსაშვილი
მაია გველესიანი
ხათუნა საგანელიძე
გიორგი ოდოშაშვილი

შპს - საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუ
ვაიდოთას ვილიუნას
ისკენდერ საიეკი
ირმა მანჯავიძე
ეკატერინე ბაკარაძე
ირაკლი გაგუა
ეკატერინე აბჟანდაძე
მარი რუაძე

საბჭოსთავმჯდომარემსაბჭოსწევრებსგაცნოდამტკიცებულიდღისწესრიგი:

1. **შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**
2. **შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
· **არა**
დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. **შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;**
2. **შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.**

1. **შპს კავკასიის უნივერსიტეტის ავტორიზაციის საკითხის განხილვა**

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**
- ბორის ლეჟავა - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულება

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტებსდაეფიქსირებინათთავიანთიმოსაზრებებიგანსახილველსაკითხთანმიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ, აჰიმ ალბრეხტმა, აღნიშნა, რომ მათ საკმაოდ კარგი სამუშაო გარემო და ატმოსფერო ჰქონდათ როგორც ექსპერტთა ჯგუფში, ისე უნივერსიტეტის მხრიდან, ვინაიდან ყველა გამოთხოვილი ინფორმაცია დროულად იყო მიწოდებული. მან აღნიშნა, რომ შეფასებაც საბოლოო ჯამში ძალიან კარგია და 7 სტანდარტიდან კავკასიის უნივერსიტეტი ექვსში შეფასდა, როგორც შესაბამისია მოთხოვნებთან, ხოლო მხოლოდ ერთი სტანდარტი, რაც, კვლევასთანაა დაკავშირებული, შეფასდა, როგორც მეტწილად შესაბამისი. მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფს ჰქონდა მხოლოდ 6 რეკომენდაცია, 11 რჩევა და 12 საუკეთესი გამოცდილების ნიმუში, რაც, ნამდვილად სამაგალითო შედეგია. მან აღნიშნა, რომ ექსპერტთა ჯგუფი გამოეხმაურება იმ არგუმენტირებულ პოზიციას, რაც, მათ უნივერსიტეტისგან მიიღეს. მისი თქმით, მიუხედავად იმისა, რომ 1-ლი სტანდარტი სრულად იყო შესაბამისი, მათ მაინც მიიღეს გარკვეული უკუკავშირი უნივერსიტეტისგან. მან აღნიშნა, რომ 1.1 ქვესტანდარტში გაცემულია რეკომენდაცია, იმასთან დაკავშირებით, რომ დაწესებულების მისიაში ასახული უნდა იყოს ის, თუ რა კონტრიბუცია უნდა ჰქონდეს უნივერსიტეტს საზოგადოების განვითარების პროცესში და ამ თვალსაზრისით, მისი თქმით, დაწესებულებამ გარკვეული კვლევები წარმოადგინა. მან აღნიშნა, რომ მოცემულ რეკომენდაციაში საუბარი იყო აქტივობებთან დაკავშირებით, რაც, ღონისძიებების ცხრილის მსგავსად იყო წარმოდგენილი, ხოლო, როცა მათ თხოვეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, რომ ეცნობებინა იყო თუ არა მისიაში საზოგადოებრივი წვლილის საკითხი, მათი პასუხი იყო, რომ არა. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ ამ მხრივ არსებობს გაუმჯობესება, თუმცა, მათ დაინახეს, რომ საზოგადოებრივი წვლილის საკითხი ნამდვილად არაა გათვალისწინებული. მისი თქმით, უნივერსიტეტს ნამდვილად აქვს მისია და სტრატეგიული გეგმა, ასევე კარგი მმართველობა და მენეჯმენტი, მაგრამ კარგად არ ჩანს ამის კონტრიბუცია საზოგადოების განვითარებაში.

ექსპერტთა ჯგუფის თანათავმჯდომარემ, ჟოსეტ პიეტერს დენეკენსმა, აღნიშნა, რომ ის განსაკუთრებულად მუშაობდა მე-2 სტანდარტთან მიმართებით. მისი თქმით, არა მხოლოდ მეორე, ასევე მესამეც არის შესაბამისობაში. მისი თქმით, ყველაფერი კარგად მუშაობს, თუმცა

უნივერსიტეტს მეტი აქვს გასაკეთებელი მედიცინის მიმართულების ნაწილში, რადგან ეს საკმაოდ ძვირადღირებული პროცესია და ამდენად, საჭიროა საერთაშორისო გამოცდილებასთან უფრო მეტი ჰარმონიზაცია.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ნინო პატარაიამ, აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ მე-4 სტანდარტთან მიმართებით არის სრული შესაბამისობა, აუცილებელია, კვლევითი მიმართულების გაძლიერების გამოც, აფილირებული აკადემიური პერსონალის რაოდენობაც გაიზარდოს და მისი ხედვით, აღნიშნული რეკომენდაცია მნიშვნელოვანია, რომ დარჩეს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ მე-6 სტანდარტთან მიმართებით მათ გასცეს რეკომენდაცია და სტანდარტი მეტწილად შესაბამისია. მისი ხედვით, გაცემული რეკომენდაციები თავად კავკასიის უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშშია აღნიშნული, როგორც გასაუმჯობესებელი მხარეები და ექსპერტები ამ მიმართულებით, დაწესებულებას ეთანხმებიან. მან აღნიშნა, რომ მართალია უნივერსიტეტს აქვს მოპოვებული შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტები და მოქმედებს შიდა გრანტების სისტემა, გაცილებით მეტია გასაკეთებელია საერთაშორისო სამეცნიერო გრანტების მოზიდვისა და განხორციელების მიმართულებით. მან აღნიშნა, რომ აუცილებელია სამეცნიერო გრანტების დაფინანსების შიდა სქემა იყოს მკვეთრად სტრუქტურირებული ხასიათის და მიმართულებები იყო წინასწარ განსაზღვრული. მან აღნიშნა, რომ მართალია 2020-2027 წლების სტრატეგიულ გეგმაში არსებობს სამიზნე ნიშნულები, ეს მაინც მხოლოდ და მხოლოდ გეგმაა და ექსპერტთა ჯგუფის შეფასება სამომავლო გეგმებს ვერ დაეყრდნობა და აუცილებელია, არსებულის შეფასება. ამ მიმართულებით, მან აღნიშნა, რომ საერთაშორისო კვლევებს გაცილებით დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს და სწორედ ესაა მიზეზი, რატომაც გაიცა რეკომენდაცია ინტერნაციონალიზაციისა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვის გაძლიერებასთან დაკავშირებით. ექსპერტმა, ასევე ისაუბრა კვლევების შეფასების ნაწილზე და აღნიშნა, რომ მართალია დაწესებულბაში არსებობს ამის მარეგულირებელი მექანიზმი, ჩატარებული აქტივობების რეალური ანალიზი და შეფასება უნდა ხორციელდებოდეს სისტემურად და ამას სტანდარტი ითხოვს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, კახა შენგელია, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებსა და ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და მადლობა გადაუხადა მათ ასეთი ნაყოფიერი მუშაობისა და მეგობრული რჩევებისთვის. მისი თქმით, ეს იყო მშვიდ ვითარებაში იმის გაცნობა, თუ რას აკეთებდა კავკასიის უნივერსიტეტი ბოლო 7 წლის განმავლობაში და ასევე რას გააკეთებს. მან ასევე აღნიშნა, რომ ეს არ იყო სადამსჯელო ღონისძიება და ამისთვის, მან მადლობა გადაუხადა, უცხოელ ექსპერტებს. დაწესებულების რექტორმა აღნიშნა, რომ ისინი არ არიან თანახმა იმ რეკომენდაციებს, რაც, ექსპერტებმა, განსაკუთრებით, მე-6 სტანდარტთან მიმართებით, არსებობს და ამაზე კომენტარს დაწესებულების სხვა წარმომადგენლები გააკეთებენ.

დაწესებულების წარმომადგენლმა, დიანა მჭედლიშვილმა, გულწრფელი მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფსა და სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს გაწეული შრომისთვის. მან აღნიშნა, რომ 2019 წლის შემოდგომაზე, წარმატებით გაიარეს ე.წ. „საპილოტე“ ავტორიზაცია და იმ პროცესში როგორც ქართველი, ისე უცხოელი ექსპერტები იყვნენ ჩართულები და მათ მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები მკაფიოდ არის გათვალისწინებული. მან აღნიშნა, რომ წარმოდგენილ დასკვნაში, რეკომენდაციები შინაარსობრივად უფრო მეტად რჩევებია და აღნიშნა, რომ იმედია, ავტორიზაციის საბჭოს წევრები გაითვალისწინებენ უნივერსიტეტის პოზიციას, რაც, სამომავლოდ უზურნველყოფს უნივერსიტეტის მოტივაციის ზრდას. მან აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტს აქვს მკაფიო სტრატეგიული მიდგომა საზოგადოების განვითარებისადმი. მისი ერთ-ერთი სტრატეგიული

ამოცანაა: საზოგადოებაზე დადებითი გავლენის მქონე პროექტების განხორციელება. მისი თქმით, ამ სტრატეგიულ ამოცანას აქვს თავისი ეფექტურობის მაჩვენებლები და აქტივობები, რაც მათ აძლევს შესაძლებლობას ყოველწლიური ეფექტური მონიტორინგი გაიუწიონ საქმიანობის შესრულებას. ეფექტურობის თითოეულ მაჩვენებელს აქვს გაზომვადი სამიზნე ნიშნულები სტრატეგიული და განვითარების გეგმის მონიტორინგის სისტემაში. მან ასევე აღნიშნა, რომ უნივერსიტეტი ჩართულია ერამუს+ პროექტში მესამე მისიის გაძლიერებასთან დაკავშირებით, რისი მიზანიცაა დაეხმაროს ქართულ უნივერსიტეტებს სტრატეგიული გეგმების გაძლიერებაში და ამ ნაწილში, ცხადია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აქტიურადაა ჩართული და უნივერსიტეტს სწორედ ეს ნაწილი წარმოადგენს. მან აღნიშნა, რომ სავარაუდოდ, ელექტრონული ფორმატის გამო, ინტერვიუს დროს, უცხოელმა ექსპერტებმა ვერ გაიგეს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რამდენად არის ის ჩართული მესამე მისიის გაძლიერების ნაწილში. მან აღნიშნა, რომ საზოგადოებრივი წვლილისა და საუნივერსიტეტო მისიის კავშირი მიმდინარე პროექტია და ლოგიკურია, რომ ჯერ მას მკაფიო შედეგები არ ექნება და, ამდენად, სავარაუდოა, რომ ამ შეფასების გამო არასწორი ინტერპრეტაცია მოხდა, რასაც შედეგად მოჰყვა 1.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია, რომ საზოგადოების განვითარებაზე ზრუნვაში წვლილის შეტანა მომავალში კავკასიის უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის ნაწილი უნდა იყოს. მისი ხედვით, ეს რეკომენდაციებში არ უნდა იყოს წარმოდგენილი. ის ასევე შეეხო 4.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებულ რეკომენდაციას: ზარდეთ აფილირებული და სრულ განაკვეთზე მომუშავე აკადემიური პერსონალი პროგრამების მიხედვით, რათა შესრულდეს ის სტრატეგიული მიზნები, რომლებიც დაკავშირებულია მაღალი ხარისხის კვლევების გენერირებასთან და კავკასიის უნივერსიტეტის კვლევითი მიღწევების ინტერნაციონალიზაციასთან. დიანა მჭედლიშვილმა აღნიშნა, რომ ეს უნივერსიტეტისთვის ისედაც პრიორიტეტული სიის სათავეშია და ამ მიმართულებით, საკმაოდ დიდი ძალისხმევაა გაწეული, კერძოდ, დაინერგა მონიტორინგისა და სერიოზული ხელშეწყობის სისტემა, რაც, აშკარად უზრუნველყოფს პროგრამების მდგრადობასა და სამეცნიერო კვლევების მზარდ გაძლიერებას.

დაწესებულების წარმომადგენლმა, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ ვერ დაეთანხმება მეექვსე სტანდარტთან დაკავშირებულ ვერცერთ რეკომენდაციას. მან აღნიშნა, რომ 6.1 ქვესტანდარტის რეკომენდაცია, რომ კვლევა უნდა იყოს სისტემური და წინასწარ დაგეგმილი, მიმართულებებისა და სირთულის შესაბამისად, ვერ იქნება რეკომენდაცია, რადგან ეს დაწესებულებაში ასეც ხორციელდება და შეუძლებელია სხვანაირი იყოს. ამის დასტური ისიცაა, რომ მომდევნო წლების განმავლობაში ეს პრიორიტეტიზაცია მკაფიოდაა ჩამოყალიბებული, როგორც ინდივიდუალური, ისე ორგანიზაციული მხარდაჭერის მიმართულებით და ამაზე ბევრი რამ წერია არგუმენტირებულ პოზიციაში. მან აღნიშნა, რომ კვლევა სისტემურად ფასდება და შემუშავებულია კვლევითი სტრატეგია, ასევე ფუნქციონირებს კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და კვლევის დაფინანსების ინდივიდუალური სისტემა. მისი თქმით, კვლევის ინტერნაციონალიზაცია, რაც, 6.2 ქვესტანდარტის რეკომენდაციაა, ისედაც კარგადაა გააზრებული და დაგეგმილი და სრული დაგეგმე-შეამოწმე-შეფასების ციკლი არის სახეზე და ეს ციკლი მუდმივად ვითარდება და წარმოდგენილი რეკომენდაცია არის რჩევა. მისი ხედვით, ამის დასტური ისიცაა, რომ დაწესებულებას აქვს შემუშავებული ინსტიტუციონალური ჩარჩო და მონაწილეობს ისეთი გლობალურ პროექტებში, როგორებიცაა: ღირებულებათა კვლევა, ჰორაიზონ 2020, ჟან მონეს პროექტი და ა.შ. მან ასევე აღნიშნა, რომ კავკასიის უნივერსიტეტის მიდგომა სწავლებისა და კვლევის პროცესის მიმართ სისტემურია, გათვალისწინებულია სტრატეგიულ გეგმაში, რაც, ასევე მოიცავს ერთობლივ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებს, რაც, ხელს უწყობს ინტერნაციონალიზაციას. მისი თქმით, მოქმედებს გაუსთან და თსუ-სთან ევროპასთან ინტეგრაციისა და შრომითი ურთიერთობების საბაკალავრო პროგრამა, ასევე ლოჯისტიკის მენეჯმენტის პროგრამა ბილბაოს უნივერსიტტთან ერთად და არის მოქმედი ერთობლივი

პროგრამები, მათ შორის როზენის კოლეჯთან მასპინძლობის პროგრამა პროცესშია და მალე დასრულდება. ამდენად, მისი თქმით, ამ ნაწილში არათუ რეკომენდაცია, არამედ რჩევაც ზედმეტია. მან ასევე აღნიშნა, რომ 6.3 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია: გაანალიზდეს სამეცნიერო საქმიანობის შეფასების შედეგები და მოხდეს მათი სისტემატური გამოყენება, ნაკლებად შეესაბამება რეკომენდაციას. მისი თქმით, ბევრი მონაცემი და დოკუმენტი წარადგინეს, რაც, ადასტურებს, რომ ეს ისედაც ხორციელდება და ამის მაგალითია ისიც, რომ აკადემიური პერსონალი ყოველწლიურად წარადგენს ანგარიშებს, სადაც წინასწარაა განსაზღვრული და შეფასების შედეგები შემდგომი დაგეგმვის წინაპირობას წარმოადგენს, რაც, ასევე სპეციალური კომპიუტერული პროგრამით ხორციელდება. ამდენად, დაწესებულება გამოვიდა რამდენიმე შუამდგომლობით. პირველი, გადაიხედოს მე-6 სტანდარტის შეფასება, გადაწყვეტილება ძალაში შევიდეს მიმდინარე წლის 1-ლი ივლისიდან და სტუდენტთა კონტიგენტი გაიზარდოს მოთხოვნილ, 7500 სტუდენტამდე.

საბჭოს თავმდჯომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ, აღნიშნა, რომ დაწესებულებამ დიდი ძალისხმევა გასწია და მოცემული დასკვნა ამის დასტურია. მან აღნიშნა, რომ 6.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, არგუმენტირებულ პასუხში გაიჟღერა, რომ არსებობს ოფიციალური სამუშაო ჩარჩო და სწორედ მისი მიხედვით ხდება კვლევითი საქმიანობის დაგეგმვა. მან ექსპერტების მისამართით იკითხა, რა მიზანს ემსახურეობდა აღნიშნული რეკომენდაცია. ის ასევე დაინტერესდა 6.2 ქვესტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაციის საკიხთან დაკავშირებით, რა დამატებითი კომენტარი ექნებოდათ ექსპერტთა ჯგუფის წევრებს.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა მართლაც გადადგა რიგი ნაბიჯები მოცემული მიმართულებებით, თუმცა კვლევით ნაწილში, რეკომენდაციების გაჩენის მთვარი მიზეზი არის ის, რომ ექსპერტები ვერ შეაფასებენ სამომავლო გეგმემს, მათ უნდა შეაფასონ ის, თუ უკვე რა განხორციელდა დღეის მდგომარეობით. მან აღნიშნა, რომ მართალია სამომავლო გეგმები კარგადაა გაწერილი, მათ მაინც ვერ დაიანხეს უკვე გადადგმული ნაბიჯები, რაც რეკომენდაციებისგან თავშეკავების საფუძველი იქნებოდა. ია მოსაშვილი ასევე შეეხბო ერთობლივ პროგრამებს და აღნიშნა, რომ ამის საფუძველი სტანდარტში არსებული მოთხოვნაა. უნივერსიტეტს მართლაც აქვს გაკეთებული ამ მიმართულებით, თუმცა, ამ რეკომენდაციის გაჩენის მიზანი არის არა ის, თუ რას გააკეთებს კვლევითი მიმართულებით, თუმცა, ისინი აფასებდნენ რას საქმიანობდა უნივერსიტეტი აქამდე და დღეის მდგომარეობით რა ხორციელდება და ამდენად, მოცემული გეგმის შესრულება, როორც შესრულებულია. ამდენად, მისი თქმით, სამომავლოდ, რაც უნივერსიტეტს აქვს გაწერილი, ის ვერ შეფასდება. მისი თქმით, 6.3 ქვესტანდართთან დაკავშირებით, არსებობს მექანიზმი, თუმცა, ამის შემდგომ განხორციელებული აქტივობები, რაც, კვლევასთან დაკავშირებით ვერ დაინახეს, რომ არ გამოჩენილყო ეს პროგრამა. რაც შეეხება ერთობლივ პროგრამებს, ვინაიდან რადგან ეს სტანდარტი გვთხოვს, ეს ავხახეთ რეკომენდაციებში. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულებას ბევრი მიმართულება აქვს, თუმცა საჭიროა წინასწარ დაგეგმვაში, ეს მიმართულებები იყოს დაფარული.

საბჭოს წევრი, იური მღებრიშვილი, დაინტერესდა, როგორ ახდენს დაწესებულება პრიორიტეტების განსაზღვრას სამეცნიერო მიმართულებებისა და თემატიკის და თუ, რის საფუძველზე.

ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ პერსონალი აპირებს კვლევის განხორციელებას, ის მიმართავს უნოვერსიტეტს და გადის გარკვეულ პროცედურებს. ამ თემატიკისთვის და სამეცნიერო ჭრილში მუშაობის დაწყების კუთხით,ის გადის გადარჩევის პროცედურებსაც. მან ასევე აღნიშნა, რომ მაგალითად სადოქტორო ნაშრომებთან დაკავშირებით, დოქტორანტი უნივერსიტეტში თემატიკით მიდის და ამ პროცედურების გავლით ხდება აღნიშნული თემის დამტკიცება.

საბჭოს წევრმა, იური მღებრიშვილმა, აღნიშნა, რომ მას მხედველობაში ჰქონდა, რამდენად აქტუალური იყო აღნიშნული კვლევები სახელმწიფოსა და საზოგადოების განვითარების ნაწილში.
დაწესებულების წარმომადგენლის, დიანა მჭედლიშვილის განმარტებით, საუბარი არ არის მხოლოდ სამომავლოდ დაგეგმილ აქტივობებზე, ბევრია განხორციელებული და მიმდინარე პროექტი. მან არნიშნა, რომ კვლევის პრიორიტეტებთან დაკავშირებით, დაწესებულება ვერ მოეკიდება ყველა მიმართულებას, ეს არ იქნება რეალისტური, ვინაიდან არის წინასწარ განსაზღვრული პრიორიტეტები და შესაძლებელია გარკვეული წილი მომავალშიც დაემატოს.უნივერსიტეტს შიდა საგრანტო სისტემა აქვს დაწესებული, რაც აფინანსებს და ხელს უწყობს აკადემიურ პერსონალსა და მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს. მისი თქმით, ისინი ჩართული არიან შიდა გრანტებში, რომელიც უნივერსიტეტის მიერ არის დაფარული.
საბჭოს წევრმა, ივანე აბაშიძემ, იკითხა, არის თუ არა ობიექტური კრიტერიუმი ან სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პოლიტიკა, რომლის შესაბამისადაც უნივერსიტეტს შეეძლო განესაზღვრა პრიორიტეტულია თუ არა ეს სახელმწიფოსთვის.
ია მოსაშვილის თქმით, ძნელია, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნები არსებობს, თუმცა, არ შეიძლება ჩვენ დავუცადოთ ვინ საიდან მოიტანს თემას;
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ია მოსაშვილმა, აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მხრიდან მოთხოვნების ჩამოყალიბება რთული და ძნელია, თუმცა, ამავდროულად, ვერ მოხერხდება, რომ დაუცადონ ვინმეს, ვინ საიდან მოიტანს თემას.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა, განმარტა, რომ კვლევითი პრიორიტეტების შერჩევა მიმდინარეობს წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით. კერძოდ, არსებობს შესაბამის კვლევებზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეული და არ ხორციელდება სპონტანურად აღნიშნული პროცესი. მისი თქმით, პროცესი თანმიმდევრული და შედეგზე ორიენტირებულია.
დაწესებულების რექტორმა, კახა შენგელიამ, აღნიშნა, რომ კვლევითი მიმართულებით საკმაოდ დიდ ძალისხმევაა ჩადებული უნივერსიტეტის მხრიდან, წლიურად მიმართულება 300 000 ლარით ფინანსდება და აღნიშნული რიცხვი მზარდია.
დაწესებულების წარმომადგენელმა, დიანა მჭედლიშვილმა, აღნიშნა, რომ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის მიერ დადგენილი სულ 80 პრიორიტეტია, თუმცა, რთულია, რომ დაწესებულებას ამდენივე სამეცნიერო-კვლევითი პრიორიტეტი ჰქონდეს. მან ასევე აღნიშნა, რომ დაწესებულება რეგულარულად აფასებს აფილირებული აკადემიური პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობას, რისი მაგალითიც არის მათი 2015-2019 წლებში არსებული სამეცნიერო შედეგების ანალიზი და პოტენციალის განსაზღვრა, რაც, მისი თქმით, იყო საფუძველი მოქმედი შიდა დაფინანსების წესისა. მან აღნიშნა, რომ 2018 წლიდან მოყოლებული, ყოველი დეკემბრისა და ივნისის თვეში, დაწესებულება შესაბამისი, წინასწარგანსაზღვრული საპროექტო წინადადების, გეგმა-გრაფიკისა და ბიუჯეტის ფორმებით აცხადებს კონკურსს, სადაც, აფილირებულ პერსონალს შეუძლია, როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური განაცხადის შემოტანა, რაშიც მაგისტრატები და დოქტორანტებიც არიან ჩართულები. მან აღნიშნა, რომ შესაფასებლად პროექტი გარე ნეიტრალურ ექსპრტს მისდის, რომელიც წინასწარ განსაზღვრული ქულების მიხედვით ამა თუ იმ პროექტს აფასებს და ამ შეფასების ანალიზის შემდეგ, შესაძლებელია მოთხოვნილი იყოს 25 000 ლარი.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 17:00 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 17:10 წუთი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს კავკასიის უნივერსიტეტისთვის 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 6 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ 6.1 და 6.3 ქვესტანდარტებთან დაკავშირებულუ რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს კავკასიის უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით (უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 7500-ით.

2. შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუს ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის თანამშრომელმა ზუმის (Zoom Meeting) საშუალებით ჩართო ექსპერტები და დაწესებულების წარმომადგენლები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს ხომ არ ჰქონდათ საბჭოს წევრების მიმართ აცილება.

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება

- **არა**

საბჭოს წევრებს მიმართა, ხომ არ ჰქონდათ განსახილველ საკითხთან მიმართებით თვითაცილება და/ან აცილება.

ავტორიზაციის საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება

- **დიახ**
- გოდერძი ბუჩაშვილი - თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა საგანმანათლებლო დაწესებულებასთან შრომითი ხელშეკრულება

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ იცნობდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.

საბჭოსთავმჯდომარემმიმართაექსპერტებსდაეფიქსირებინათთავიანთიმოსაზრებებიგანსახილველსაკითხთანმიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარე, ვაიდოთას ვილიუნასი, მიესალმა ავტორიზაციის საბჭოს წევრებს და მადლობა გადაუხადა ყველას იმისთვის, რომ მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ამ ინფორმაციულ და კონსტრუქციულ სამუშაო პროცესში. მან აღნიშნა, რომ მათ ნათლად დაინახეს ზოგადი სურათი, რომ საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი არის თანამედროვე და პოტენციურად კარგი სასწავლო უნივერსიტეტი და მან აღნიშნა, რომ სასურველია, ის მომდევნო პერიოდში, ის უფრო განვითარდეს. მისი თქმით, სეუს მისიაა, რომ როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე მოთხოვნადი სტუდენტები მოამზადოს, აქვთ კარგად ჩამოყალიბებული მისია, სამ და შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა. მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო პროცედურები და ორგანიზაციული სტრუქტურა კარგადაა ჩამოყალიბებული, უნივერსიტეტს აქვთ კარგად მომუშავე ხარისხის მონიტორინგისა და უზრუნველყოფის სისტემა, აქვთ დაბალანსების მექანიზმები, რაც, ეყრდნობა აკადემიურ კეთილსინდისიერებასა და გამჭვირვალობას. მან აღნიშნა,რომ უნივერსიტეტს აქვს აქტიური და მოქმედი მონიტორინგის მექანიზმი, სადაც, ჩართულნი არიან როგორც სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ისე დამსაქმებლები და მათი აზრები გათვალისწინებულია, სხვადასხვა, მათ შორის აკადემიური და მრჩეველთა საბჭოს მუშაობის მექანიზმებში. მან აღნიშნა, რომ საუნივერსიტეტო საგანმანათლებლო პროგრამები ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემაზეა გადასულია, ასევე, აღნიშნა, რომ აქვთ პლატფორმა, რაც, უადვილებს სტუდენტებს მოქმედებას, მათ შორის სეუში მოქმედებს გასაჩივრების მკაფიო და გამჭვირვალე მექანიზმები. ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის თქმით, უნივერსიტეტში მოქმედებს კანონმდებლობასთან შესაბამისი წესები, საუნივერსიტეტო მიღებიდან დიპლომების მიღების ჩათვლით, მისი თქმით, არსებული დატვირთვა მისაღები და ადეკვატურია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული პერსონალისთვის. სტუდენტური თვითმმართველობა თავად ახორციელებს საქმიანობას და თავად წყვეტს, ვინ უნდა იყვნენ არჩეულები სხვადასხვა მმართველობით საბჭოში; ასევე, მისი თქმით, დამსაქმებლების ნაწილი ნამდვილად ჩართულია პროგრამების გაუმჯობესების ნაწილში, მათ შორის კურიკულუმის შემუშავების ნაწილში, თუმცა, როგორც მან აღნიშნა, მაინც არაა დამაკმაყოფილებელი დასაქმებულთა პროცენტული მაჩვენებელი. მისი თქმით, კოვიდ19-ის პირობებში, უნივერსიტეტმა ინდივიდუალური ლეპტოპები გადასცა სტუდენტებს, რაც, ძალიან კარგი პრაქტიკაა. მისი თქმით, კვლევა საკმაოდ ძლიერადაა ხაზგასმული, როგორც მის მისიაში, ასევე სტრატეგიულ გეგმაში და საკმაოდ კარგადაა ჩამოწერილი ინდიკატორები სამომავლოდ იმისდამიუხედავად, რომ სეუ სასწავლო უნივერსიტეტია, თუმცა, მისი თქმით, ზოგადი სურათით, არსებული დონე, კვლევითი საქმიანობებით, არაა სრულად დამაკმაყოფილებელი. მან აღნიშნა, რომ სეუს ინფრასტრუქტურა კარგ ფორმაშია, თითოეულ წევრს საუნივერსიტეტო საზოგადოებისას, აქვთ წვდომა და მისაწვდომობა საკმაოდ ძლიერი, თუმცა, ბიბლიოთეკის თვალსაზრისით, უფრო მდიდარი სამეცნიერო ბაზებთან ხელმისაწვდომობაა საჭირო. მისი თქმით, უნივერსიტეტს აქვს საკმაოდ მდგრადი ფინანსური მდგომარეობა, რაც, იძლევა იმის თქმის შესაძლებლობებას, რომ ის სასწავლო უნივერსიტეტიდან გახდეს კვლევითი უნივერსიტეტი. მისი თქმით, ეს საშუალებას მისცემს სეუს უფრო მეტი დახარჯოს კვლევითი მიმართულებით. რაც შეეხება, სამედიცინო განათლებას, მისი თქმით, აუცილებელია პრაქტიკოსებსა და აკადემიურ პერსონალს შორის

უფრო აქტიური და მჭიდრო კავშირი და ისინი აქტიურად უნდა იყვნენ წარმოდგენილნი მენეჯმენტის ნაწილში და აქტიურად წახალისდეს კვლევითი აქტიურობა. მისი თქმით, საბოლოოდ, 1-ლი. მე-2, მე-3, მე-4 და მე-7 სტანდარტები სრულად შეესაბამება ავტორიზაციის მოთხოვნას, ხოლო, მე-5 და მე-6 სტანდარტები მეტწილ შესაბამისობაშია. მისი თქმით, თავდაპირველად, ავტორიზაციის ექსსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა 9 რეკომენდაცია და 12 რჩევა, ხოლო, სეუსგან მიღებული არგუმენტირებული პოზიციის შემდეგ, მათ 9-დან 1 რეკომენდაცია გადაიტანეს რჩევებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თანათავჯდომარემ, ისკენდერ საიეკმა, აღნიშნა, რომ ერთი სრული ციკლი სამედიცინო მიმართულებით არაა დასრულებული, ამიტომ სეუში ვიზიტისას, საკმაოდ რთული იყო ამის სრული და ზედმიწევნითი შეფასება, ვინაიდან მათ ჯერ არ ჰყავთ მედიცინის კურსდამთავრებულები. მან აღნიშნა, რომ სამედიცინო პროგრამა სისტემური და ნაწილობრივ ინტეგრირებულია და აერთიანებს სამედიცინო განათლება სოციალური და სამეცნიერო ასპექტებს, ასევე, მისი თქმით, პროგრამის კურსდამთავრებულები კარგი მედიკოსები იქნებიან, სამომავლოდ. მან აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ სეუ სასწავლო უნივერსიტეტია, სამოქმედო და უკვე მოქმედ გეგმებში კარგადაა აღწერილი, როგორ უნდა განვითარდეს სამეცნიერო-კვლევითი მიმართულებები, მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო მიმართულებით ვიცე-რექტორის არსებობა, სხვადასხვა ინსტიტუტების ჩამოყალიბება და საერთაშორისო კოოპერაციების გაძლიერება, დადებითად უნდა შეფასდეს. მისი თქმით, სამეცნიერო სტრატეგიები კარგადაა ფორმულირებული, თუმცა, საბოლოო ხვედრითი წელი ბიუეტიდან, აუცილებელია ამ მიმართულებით, დანახარჯები გაძლიერდეს, რადგან სამეცნიერო პროდუქტიულობა, აუცილებელია გაძლიერდეს, ვინაიდან ჯერ ის არაა მაღალ დონეზე განვითარებული, რისი მაგალითიც ისაა, რომ ჯამში ამ მიმართულებით მხოლოდ 1.75% იხარჯება. ასევე, მან აღნიშნა, რომ სამეცნიერო ეთიკის საკითხები, მათ შორის სამედიცინო და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, აუცილებელია არა დროებითი, ცვალებადი არამედ მუდმივი კომიტეტი, რაც, სამეცნიერო და ეთიკურ საკითხებზე იქნება ორიენტირებული. მისი თქმით, ის მხოლოდ წარმატებებსა და განვითარებას უსურვებს სეუს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის, ირმა მანჯავიძის, თქმით, მათ წარმოდგენილი შეჯერებული პოზიცია აქვთ წარმოდგენილი. მან აღნიშნა, რომ 25 ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ვიზიტების განმავლობაში, სეუს პასუხი იყო ყველაზე მიმღებლური და შედეგზე ორიენტირებული პასუხი. მან აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინანდელთან შედარებით, ძალიან დიდი პროგრესია და ბევრი რამაა გაკეთებული, როგორც ადამიანური, ისე მატერიალურ-ტექნიკური თვალსაზრისით. მან აღნიშნა, რომ კლინიკური უნარების ცენტრი აღჭურვილია და სამედიცინო კუთხით, გაფართოებულია სივრცეები და მედიცინა საკმაოდ რთული დარგია და სამედიცინო მიმართულებით კვლევები საკმაოდ მნიშვნელოვანი იქნება.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს დაეფიქსირებინათ თავიანთი პოზიცია.

დაწესებულების რექტორი, გია კავთელიშვილი, მიესალმა ექსპერტთა ჯგუფს, ავტორიზაციის საბჭოს და მადლობა გადაუხადა მათ ასეთი თანამშრომლობისთვის. მისი თქმით, დასკვნაში წარმოდგენილ მოსაზრებებს, სრულად იზიარებენ, მათ შორის რამდენიმე რჩევასა და მიგნებებს, თუმცა, მისი თქმით, აქვთ ორ ძირითად საკიხთან დაკავშირებით არსებული მოსაზრება და სურთ, რომ ეს მაქსიმალური შეფასება უნდა იყოს წარმოდგენილი.

დაწესებულების ვიცე-რექტორმა, ანა ფირცხალაშვილმა, მადლობა გადაუხადა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრებს და აღნიშნა, რომ მე-7 და მე-8 რეკომენდაციებთან დაკავშირებით აქვთ განსხვავებული პოზიცია. მისი წაიკითხა რეკომენდაცია იმის შესახებ, რომ კვლევის შედეგები მეტად უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო აქტივობებსა და კურიკულუმში სწავლების ყველა ძირითად დარგში და აღნიშნა, რომ დაწესებულებაში ჩატარებულია 14 კვლევითი პროექტი და 2/3 მათგან არის შესული კურიკულუმში. მისი თქმით, ვინაიდან სამედიცინო მიმართულება სეუში ახალია და ამდენად, რთულია, მისი კვლევის განხორციელება და ამდენად, ესაა, მიზეზი იმისა, რატომაა უფრო რთული მისი კურიკულუმში

ინტეგრირება. მან აღნიშნა, რომ ვინაიდან 2/3 არის ინტეგრირებული, ობიექტური პირობების გამო, უნივერსიტეტი ამ რეკომენდაციას უკვე ასრულებს. მან ასევე აღნიშნა, რომ რეკომენდაცია მეთოდურად არ ჯდება 6.3 სტანდარტში, ვინაიდან კვლევის ეთიკის საკითხი შეიძლება განიხილებოდეს არა მხოლოდ კვლევის შეფასების პროცესში, არამედ მანამდეც, მისი თქმით, ექსპერტთა ჯგუფი თავად აღნიშნავს, რომ ეს სტანდარტი არ მოითხოვს იმპერატიულად, რომ არსებობდეს ასეთი კომიტეტი, თუმცა, საუბარია, ასევე არა დროებით, არამედ, პერმანენტულ კომიტეტზე. მან ასევე ახსნა, თუ როგორ მუშაობს ეს მექანიზმი. მისი თქმით, კომისია ამოწმებს ყველა კვლევას და როგორც კი, აღმოჩნდება რაიმე პრობლემა, შეიძლება მან ახალ ეთიკის კომისიას მოუწოდოს და რეალურად, ესაა მუდმივმოქმედ საკითხებთან დაკავშირებით და მოქნილად, ის ექსპერტები იყვნენ ჩართულები, რომლებიც ყველაზე კარგად შეესაბამებიან მოცემულ საკითხს. ამდენად, მისი თქმით, დაწესებულებაში მოქმედი რეგულაცია ამ მიმართულებით კარგად მუშაობს და არ საჭიროებს ცვლილებებს. მან ასევე წაიკითხა პირველი რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც ყველა სტუდენტს უნდა ჰქონდეს გარანტირებული უფლება და თანაბარი შესაძლებლობა იყოს არჩეული და მიიღოს მონაწილეობა მმართველობითი ორგანოების მუშაობის პროცესში. როგორც დაწესებულების წარმომადგანელმა აღნიშნა, თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ისედაც ყველა სტუდენტს აქვს საყოველთაო და პირდაპირი არჩევნების საფუძველზე, ფარული კენჭისყრით, რაც, ინსტიტუციაში 2020 წელს განხორციელდა. ის ასევე შეეხო მე-2 რეკომენდაციას და აღნიშნა, რომ მოცემული ტექნიკური ხარვეზი აღმოფხვრილია. ასევე, წაიკითხა მე-3 რეკომენდაცია, რაც, შეეხება სტუდენტების ინფორმირებულობას სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებით, რაც, მათი აზრით, ერთმნიშვნელოვნად, რჩევაშია გადასატანი, რადგან საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი ერთ-ერთი ყველაზე სტუდენტზე ორიენტირებული დაწესებულებაა. მან აღნიშნა, რომ სტუდენტებს აქვთ თავისუფლება პედაგოგის, საგნის, დღის, საათის არჩევაში და გამოხატვის თავისუფლება სრულადაა დაცული. მან ასევე აღნიშნა, რომ ჰყავთ რამდენიმე სტუდენტი პენიტენციალური დაწესებულებიდან და ამასაც კარგად ართმევენ თავს.

დაწესებულების ვიცე-რექტორმა, ანა ფირცხალაშვილმა, ასევე აღნიშნა უცხოელი სტუდენტების ინტეგრირებისა და სხვადასხვა პროექტებში ჩართულობის შესახებ. მისი თქმით, სეუს უკვე საკმაოდ დიდი რაოდენობის სტუდენტი ჰყავს და პანდემიური ვითარება, საუნივერსიტეტო აქტივობებს ხელს უშლის და სეუ კიდევ უფრო მეტად გააქტიურდება, თუმცა, რამდენიმე მაგალითი უკვე არსებობს და ხელი შეეწყო მათ ინეტგრირებასა და პიროვნულ განვითარებას, მისი თქმით, პირველი ეტაპი მარტში ჩატარდა, მან დაამატა, რომ უცხოელი სტუდენტები წარმოდგენილნი არიან ფაკულტეტისა და მრჩეველთა საბჭოებში; შეუძლიათ მონაწილეობის მიღება სამეცნიერო კონფერენციებში, სტატიების გამოქვეყნება სამეცნიერო ჟურნალებში, იგეგმება კრეკეტის კლუბის ჩამოყალიბება. ასევე, მან აღნიშნა, რომ მასშტაბით შეიძლება სრულად კმაყოფილები არ იყვნენ, თუმცა დაწესებულების ძალისხმევა, აშკარაა.

საბჭოს თავმდჯომარემ მიმართა საბჭოს წევრებს არსებობის შემთხვევაში დაესვათ შეკითხვები.

საბჭოს წევრმა, ეკა ეკალაძემ, იკითხა 6.1 ქვესტანდარტთან დაკავშირებით, სადაც, აღნიშნულია, რომ კვლევის შედეგები მეტად უნდა იყოს ინტეგრირებული სასწავლო აქტივობებსა და კურიკულუმში სწავლების ყველა ძირითად დარგში. ის დაინტერესდა იყო თუ არა აღნიშნული რეკომენდაცია გამოწვეული მხოლოდ სამედიცინო მიმართულებასთან დაკავშირებული საკითხით.

საბჭოს წევრმა, ერმილე მესხიამ, აღნიშნა, რომ როგორც სასწავლო უნივერსიტეტი ზედმიწევნით პასუხობდეს მათ შორის 6.1 და 6.3 ქვესტანდარტებს. ის დაინტერესდა, რომ თუ მე-6 სტანდარტი მეტწლად შესაბამისია, მაშინ, რას ემყარება რჩევა, რომ უნივერსიტეტში სადოქტორო პროგრამების შექმნის შესახებ.

საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ, თამარ ზარანდიამ, იკითხა, რა არის მიზეზი 6.3 მიმართულებით დაწერილი რეკომენდაციისა მუდმივმოქმედი სამეცნიერო ეთიკის კომიტეტთან დაკავშირებით.
საბჭოს მდივანმა, დავით ტეფნაძემ, იკითხა არის თუ არა რამე ხელისშემშლელი ფეზულება და რის საფუძველზეა გაცემული რეკომენდაციები სტუდენტური თვითმმართველობის ფინანსური დამოუკიდებლობის შესახებ.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკატერინე ბაკარიძემ აღნიშნა, რომ უნდა არსებობდეს მუდმივმოქმედი სამეცნიერო კომისია და ის. თუ როგორ უნდა მოხდეს მისი პრიორიტეტიზაცია, ეს დაწესებულების სრული პრეროგატივაა. მან აღნიშნა, რომ რეკომენდაციის გაცემის ლოგიკა ისაა, რომ კომიტეტი უნდა იყოს არა საჭიროებაზე დაფუძნებული, არამედ მუდმივი და თან, აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გავრცელებაზე პასუხისმგებელი. მან აღნიშნა, რომ რეორგანიზაციის შედეგად, სამეცნიერო მიმართულება გააქტიურდა და თუ უნივერსიტეტი ორიენტირებულია კვლევებზე და ეს მისი მიმართულება გაჟღერებული, ამდენად, მათ მიიჩნიეს, რომ რომ უნივერსიტეტს აქვს ამის პოტენციალი და ამიტომაც, დაწერეს რჩევები და რეკომენდაციები სწორედ კვლევითი მიმართულებით.
მარი რუამემ აღნიშნა, რომ სტუდენტური თვითმმართველობის ბიუჯეტთან დაკავშირებით, აღნიშნული დებულება ჩამოყალიბებული იქნა, როგორც რჩევა და არა როგორ რეკომენდაცია და რაც დასაბუთებულია როგორც სასარგებლო რჩევად და რაც შეეხება ხელისშემშმლელი გარემოება, რაც, უცხოელ სტუდენტებთან მიმართულებით, ნამდვილად ყოფილა მსგავსი გარემოება აღმოჩენილი.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, ეკატერინე ბაკარიძემ აღნიშნა, რომ კანონმდებლობა ნაკლებადაა მოქნილი და თუნდაც, კვლევითი კომპონენტი უნივერსიტეტებსა და სასწავლო უნივერსიტეტებში ერთნაირად ფასდება. თუმცა, ვინაიდან სეუს მიზანი, მისია, სტრატეგიული გეგმა მოიცავდა კვლევას, მათ გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული მიმართულებით გაეცათ რეკომენდაციები. ასევე, მან აღნიშნა, რომ ჩატარებული კვლევები ძირითადად სამართლისა და განათლების მიმართულებით ხორციელდება და ვიზიტის დროს არ ყოფილა განმარტება სამედიცინო მიმართულებასთან დაკავშირებულ საკითხზე. მან ასევე აღნიშნა, რომ გარდა სამეცნიერო აქტივობებისა, მნიშვნელოვანია კვლევითი სტრატეგიები, რაც, თავის მხრივ, სტრატეგიული გეგმის ნაწილია.
დაწესებულების ვიცე-რექტორმა აღნიშნა, რომ ეთიკის კომისია არ უნდა იყოს არეული კვლევის ანალიზსა და შეფასებაში, რასაც სამეცნიერო კვლევისა და განვითარების სამსახური აკეთებს. ამდენად, მისი თქმით, ეთიკის საკითხებზე ერთი წლით არჩეული კომიტეტი მოქმედებს, რაც, ამა თუ იმ სამეცნიერო პროექტის ფილტრს აკეთებს. მისი თქმით, უნივერსიტეტში შექმნილია სტრუქტურული ერთეული ეს არის ინსტიტუციური კვლევითი ფონდი, მას ჰყავს მრჩეველთა საბჭო და საბჭოში არიან, როგორც ქართელი ისე უცხოელი პროფესორები. ისინი ყველა წელს სახავენ კვლევით პრიორიტეტებს, აღნიშნულის შემდეგ დაწესებულებაში ყოველწლიური საგრანტო კონკურსი ცხადდება და დაწესებულება სწორედ ასე მიჰყვება სტრატეგიას. სწორედ ამიტომ ვერ გაიზიარებენ რეკომენდაციას კვლევით სტრატეგიასთან დაკავშირებით, ვინაიდან, მათი თქმით როცა 2/3 კვლევებისა ინტეგრირებულია სასწავლო პროცესში, ეს ნამდვილად იძლევა იმის თქმის საფუძველს, რომ დაწესებულება მიჰყვება კვლევით მიმართულებებს.

საბჭოს თავმჯდომარემ გამოაცხადა შესვენება: 18:15 წუთი
საბჭოს სხდომა განახლდა: 18:25 წუთი

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტი სეუსთვის 6 წლით ვადით ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

საავტორიზაციო განაცხადის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე ავტორიზაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება, კერძოდ მე - 6 სტანდარტი, ნაცვლად „მეტწილად შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“ განსაზღვრა როგორც „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“. საბჭომ 6.1 და 6.3 ქვესტანდარტებთან დაკავშირებულუ რეკომენდაციები გადაიტანა რჩევებში.

კენჭისყრისშედეგი:
მომხრე: 22
წინააღმდეგი: 0

გადაწყვეტილება:
„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 562-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 563-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ 77-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 79-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-3 პუნქტის, მე-4 პუნქტის, მე-5 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 103-ე მუხლის შესაბამისად, შპს საქართველოს ეროვნულ უნივერსიტეტს მიენიჭა ავტორიზაცია 6 წლის ვადით, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსით (სასწავლო უნივერსიტეტი) და სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 11100-ით.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ სხდომა დასრულდა 18:30 საათზე.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ორჯონიკიძე ზურაბ

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ტეფნაძე დავით